ხელშეკრულება №02/ 204

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გამარტივებული შესყიდვა

(პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა სამედიცინო სამსახური)

13 05 ---- ---------- 2011 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ,

სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
(ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 42),
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი არსოშვილის სახით,
საიდენტიფიკაციო კოდი: №204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა № 200122900;

(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,

შპს „ტონუსი"
მის:(ქ. თბილისი ხვამლის ქ.N14 ტელ:94-28-25)
წარმოდგენილი დირექტორის ლელა კაციტაძის სახით
საიდენტიფიკაციო კოდი: 201953895
საბანკო რეკვიზიტები: „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: 192670300

(შემდგომში "მიმწოდებელი")

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სამედიცინო დანიშნულების საქონლის შესყიდვა, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს დანართში აღნიშნული საქონელი. (CPV კოდი -33700000)

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**
   ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საჭიროებისათვის **სამედიცინო დანიშნულების საქონლის შესყიდვა.**

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია ფასების ცხრილში (დანართი N1), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3 ხელშეკრულება გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 31 იანვრის N-200 განკარგულების საფუძველზე.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. (ანგარიშფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების გამოწერით.)

3.2 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებას აწარმოებს სამედიცინო ანალიზის, კონტროლისა და მომარაგების სამმართველოს უფროსი გიორგი ფრუიძე.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარებში.

4.2 დაფინანსების წყარო: 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

5. ფასები

5.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

5.2 შესყიდვი ობიექტის დეტალური განფასება მოცემული დანართში N1;

5.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **1050 (ათას ორმოცდაათი) ლარს.**

6. საქონლის მიწოდების პირობები,ხარისხი და გარანტია

6.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება მოთხოვნიდან 4 (ოთხი) კალენდარული დღის ვადაში.

6.2 საქონელი მიწოდებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების გაფორმებიდან შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად დანართით განსაზღვრულ მისამართებზე 2011 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად, ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი.

6.4 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი უფლებამოსილი პირი პირი გიორგი ფრუიძე –სამედიცინო დეპარტამენტის სამედიცინო საქონლით და მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

7.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი, ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ს.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

11.2 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ან მისი ნაწილისა;

11.3 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.6 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.7 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.8 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

11.9 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.10 ზემოთ მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლისა ან/და მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', სამი ეგზემპლარი – ,,შემსყიდველთან''.

15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელ. ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს გასაწევი მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

16.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

18. სხვა პირობები

18.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

18.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	შპს „ტონუსი“
გიორგი არსოშვილი	ლელა კაციტაძე

ფასების ცხრილი

#	CPV კოდი	საქონლის დასახელება	რაოდენობა	განზომილება	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	(CPV კოდი -33751000)	პამპერსი 70-100კგ N30	40	ცალი	26.25	1050
სულ ჯამი 1050 ლარი						

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

გიორგი არსენიშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ტონუსი“

ლელა კაციტაძე

საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი:

ზემოაღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 5 (ხუთი) სამუშაო დღეში, შემდეგ მისამართებზე:

1. **N1 პატიმრობის და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება,** მის: გორგასლის ქ. N 85. (მთ. ექ. თ. თავბერიძე. 877222839);
2. **N2 პატიმრობის და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება,** მის: ქ.ქუთაისი, ხარებავას ქ. N85, (მთ. ექ. ნატალია კოხრეიძე 877 222 851);
3. **N3 პატიმრობის და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება,** მის: დაბა ხელვაჩაური, (მთ. ექ. ზურაბ ორაგველიძე 877 222 835);
4. **N4 პატიმრობის და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება** მის: ზუდიდი, დადიანის ქ. N9 (მთ.ექ. გიზო ლემონჯავა 877 222 813);
5. **N5 ქალთა პატიმრობის და ნახევრად ღია თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება,** მის: ქ. რუსთავი, სოფ. მთისძირი. (მთ. ექ. გია კირკიტაძე 877 222 815);
6. **N6 პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება,** მის: ქ. რუსთავი, სოფ. მთისძირი. (მთ. ექ. გია კირკიტაძე 877 222 815);
7. **N7 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება,** მის: გულუას ქ. 31. (მთ. ექ. ავთანდილ ვაშაყმაძე 877 222 849);
8. **N8 პატიმრობისა და დახურული თავისუფლების აღკვეთის შერეული ტიპის დაწესებულება,** მის: თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ. (მთ. ექ. გია ადეიშვილი 877 222 832);
9. **N9 ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,** მის: ქ.თბილისი, ტბელ-აბუსერიძის ქუჩა; (მთ. ექ. პაატა გრიგალაშვილი 877 222 812)
10. **N11 არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულება,** მის: ქ. თბილისი, გრ. ხანძთელის ქ. 33. (მთ. ექ. მანანა ელეფტეროვა 877 222 841);
11. **N12 ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,** მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N77, (მთ. ექ. ელგუჯა ხარაბაძე 877 222 839);
12. **N13 ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,** მის: ხონი. ჩაის მეურნეობა (მთ. ექ. გრიგოლ რევიშვილი 877 285 149;
13. **N14 ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,** მის: წყალტუბო, გეგუთი, (მთ. ექ. დავით გოგსაძე 877222639);
14. **N15 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,** მის: ქსანი, (მთ. ექ. ნანა მაღრაძე 877 222 823);
15. **N16 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,** მის: ქ.რუსთავი, მშენებელთა ქ. N60. (მთ. ექ ბადრი თეზელეშვილი) 877 222 638);
16. **N17 ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება,** მის: ქ. რუსთავი, მშენებელთა ქ. N64. (მთ. ექ. ზურაბ აფციაური 877 222 834) ;
17. **N18 სჯავრდებულთა და ბრალდებულთა სამკურნალო დაწესებულება,** მის: თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ. მე-2 კმ. (მთ. ექ. ვლადიმერ ხარებაძე 877 222 383);
18. **N19 ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება,** მის: ქსანი, (მთ. ექ. ოთარ ტრაპაიძე 877285076).

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	შპს „ტონუსი“
გიორგი არსოშვილი	ლეონა კაციტაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვიზირებულია:

2011 წელი 13.05

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 4 პუნქტის თანახმად საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ №2/204 ხელშეკრულებით (გამარტივებული შესყიდვა) განხორციელებულ შესყიდვასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

მინისტრის მოადგილე _____ გ. არსოშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი _____ ა. ჯებისაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ---------- გ. გორაძე

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი_____ დ.ასათიანი

შესყიდვების სამმართველოს უფროსი _____ ლ.მაღლაკელიძე

საბუღალტრო სამმართველოს უფროსი _____ ე.ალიმბარაშვილი

სამედიცინო საქონლით და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ---------- **გ.ფრუიძე**

სამმართველოს უფროსი

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№200 2011 წლის 31 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიერ მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა სამედიცინო სამსახურისათვის" გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში (ორგანიზაციული კოდი – 27 01 02), ფასების წინასწარი საბაზრო

1370
09 02 11

კვლევის ჩატარების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განახორციელოს მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საქონლის სახელმწიფო შესყიდვა.

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური